საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1324

07/09/2021

ქ. თბილისი

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო ბოლნისის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის - ტუფის (500 000 მ³) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო ბოლნისის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის - ტუფის (500 000 მ³) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წიაღითსარგებლობის ობიექტი - გულარის ტუფის საბადო, მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო ბოლნისის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 650-830 მეტრის სიმაღლეზე. ობიექტის ფართობია 116200 მ², ხოლო GPS კოორდინატები: X – 462579.0730, Y – 4581359.0890; X – 462706.3804, Y – 4581519.5085; X – 462918.3160, Y – 4581603.4830; X – 462968.3009, Y – 4581509.5115; X – 462852.5671, Y – 4581347.9053; X – 462683.3874, Y – 4581051.6505; X – 462554.4265, Y – 4581106.6339; X – 462565.4232, Y – 4581327.5667. ობიექტიდან 655, 660 და 790 მეტრში ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. წარმოდგენილი ინფორმაციის ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი სალიცენზიო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 722 მეტრით. სალიცენზიო ობიექტი ხვდება ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ქვემო ქართლის რეგიონალური სატყეო სამსახურის ფარხალოს სატყეო უბნის ტერიტორიაზე.

ტექტონიკური დარაიონების თვალსაზრისით წიაღითსარგებლობის ობიექტი მიეკუთვნება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის ართვინ-ბოლნისის ზონის ბოლნისის ქვეზონას, მადნეული-ფოლადაურის ბლოკს. გეოლოგიური თვალსაზრისით რაიონის აგებულებაში მონაწილეობენ პალეოზური, იურული, ცარცული, მესამეული და მეოთხეული ასაკის ნალექები. წიაღითსარგებლობის ობიექტის სასარგებლო წყება წარმოდგენილია დეკორატიული, მომწვანო-მონაცრისფრო ტუფებით, ტუფოქვიშაქვების, ალბიტორფირული ლავების, კონგლომერატების კირქვებისა და მერგელების მორიგეობით. მადნიანი სხეული მორფოლოგიური ტიპის მიხედვით შრისმაგვარია და მისი გავრცელება ლიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტის პარამეტრებით.

მორფოლოგიური თვალსაზრისით, წიაღითსარგებლობის ობიექტი მდებარეობს მთა-გორიანი რელიეფის მქონე ჩრდილო-აღმოსავლური ექსპოზიციის 20-30°-იანი დახრილობის მქონე ფერდობზე, რომელიც დაფარულია ხე-მცენარეებითა და ცვალებადი სიმძლავრის ნიადაგის ფენით.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტი დეტალურადაა დაძიებული. საძიებო სამუშაოების ფარგლებში გაყვანილია ჭაბურღილები, შურფები, თხრილები და საცდელი კარიერი. სასარგებლო წიაღისეული დეტალურადაა დასინჯული, აღბულია კერნული სინჯები, მონოლითები, სინჯები ქიმიური ანალიზისათვის და პეტროგრაფიული კვლევისათვის. დოკუმენტის მიხედვით, ტუფები საშუალო და წვრილმარცვლოვანია და ხასიათდება მასიური სტრუქტურით. მარაგებისა და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით, წიაღითსარგებლობის ობიექტზე არსებული მარაგებია C_2 კატეგორია - 500 000 $მ^3$ ტუფი. ობიექტზე თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები არ არის ფიქსირებული.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. არსებული გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის. წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავება დაგეგმილია ღია კარიერული წესით.

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლები, კერძოდ ნარჩენების წარმოქმნა, ხმაური, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება, გრუნტის წყლებზე ზემოქმედება, არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება. ამასთან, წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გამოწვეულ შესაძლო რისკებსა და საფრთხეებთან დაკავშირებით. განცხადებაში არ არის განხილული ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით-წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენების საკითხები. აგრეთვე, არ არის წარმოდგენილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია და არ არის შეფასებული დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტიდან 655, 660 და 790 მეტრში ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. დოკუმენტში განხილული არ არის წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების ეტაპზე აღნიშნულ ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი ხვდება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, სადაც წარმოდგენილია ხე-მცენარეები. აღნიშნული საკითხები საჭიროებს სათანადო შესწავლასა და შეფასებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა ბოლნისის მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამინისტროში წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ შენიშვნები, რომლებიც ეხებოდა სკრინინგის დოკუმენტაციის შეუსაბამობას „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მოთხოვნებთან, კერძოდ, დოკუმენტში უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან/სხვა ტიპის ნაგებობებთან და სოფლის სარგებლობაში არსებული მიწების შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობას, გეოლოგიური ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულ ლიტერატურას, ლიცენზიის გაცემის ვადებსა და პირობებს, საქმიანობის მახასიათებლებისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ ინფორმაციის არარსებობას.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო ბოლნისის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის - ტუფის (500 000 $მ^3$) მოპოვება მასშტაბის, მოპოვების მეთოდის (ღია კარიერული წესით) და მდებარეობის გათვალისწინებით, გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო ბოლნისის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის - ტუფის (500 000 $მ^3$) მოპოვება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბოლნისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი